



სიგელების, სერტიფიკატებისა და დიპლომების სახელმწიფო შესყიდვის
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (აუქციონის გარეშე)
სატენდერო დოკუმენტაცია

სარჩევი

1	ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის	2
2	ტექნიკური მოთხოვნები და წარმოსადგენი დოკუმენტაცია	3
3	სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	5
4	დანართი N1 (ფასების ცხრილი)	8

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 იმ შემთხვევაში თუ სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისას გამოყენებული იქნება სასაქონლო ნიშანი, მოდელი, პატენტი ან მწარმოებელი კომპანია, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ტერმინები გამოყენებული არის „მსგავსისა“ და „ექვივალენტურის“ მნიშვნელობით და პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მსგავსი ან ექვივალენტური მახასიათებლების მქონე საქონელი/მომსახურება. ამასთან, ტექნიკურ დავალებაში მოცემული პარამეტრები არის შემსყიდველის მიერ დადგენილი მინიმალური მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საქონელი.

1.7 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

1.8 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

1.9 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის – „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით, ან/და სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7, მე-15 სართული. საკონტაქტო პირი: ნინო კოტრიკაძე, ტელ: +99532 237 85 68. ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით საკონტაქტო პირი: ნანა ბერიაშვილი - 551 17 76 44.

2. ტექნიკური მოთხოვნები და წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

2.1 შესყიდვის ობიექტის მინიმალური ტექნიკური მახასიათებლები:

ცხრილი №1

N	დასახელება	პარამეტრები და ტექნიკური მახასიათებელი	განზომილება	რაოდენობა	ჯერადობა
1	სიგელი, სერთიფიკატი ან დიპლომი	A4 300გრ. 4X0 ცარცი გლუვი. ბეჭვდა ფერადი	ცალი	4 000	ერთჯერადად არანაკლებ 5 ცალი და არაუმეტეს 1000 ცალი
2	სიგელი, დიპლომი ან სერთიფიკატი ჩარჩოში ჩასმული მინით დაფარული	A4 ფორმატის, 300 გრ. ცარცი გლუვი, პლასტმასის ჩარჩო (მრავალჯერადი გამოყენების) სიგანე 3-4 სმ.	ცალი	50	ერთჯერადად არანაკლებ 5 ცალი
3	სიგელი დიპლომი ან სერთიფიკატი ჩარჩოში ჩასმული მინით დაფარული	A4 ფორმატის, 300 გრ. ცარცი გლუვი, პლასტმასის ჩარჩო(მრავალჯერადი გამოყენების) სიგანე 5-6 სმ.	ცალი	20	ერთჯერადად არანაკლებ 5 ცალი

2.1.2 შესყიდვის ობიექტის ცხრილში მოცემული პოზიციების დიზაინის შესახებ მიმწოდებელს ეცნობება წინასწარ, შემსყიდველის მიერ, კონკრეტული დაკვეთის მიცემისას.

2.1.3 ცხრილი #1-ში მოცემული რაოდენობები არის საგარაუდო და შესაძლებელია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მათი სრულად დაკვეთა არ განხორციელდეს შემსყიდველის მიერ.

2.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი:

2.2.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, დაკვეთის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში, ცხრილი №1-ში განსაზღვრული ჯერადობებისა და რაოდენობების შესაბამისად.

2.2.2 ყოველი კონკრეტული დავალებისათვის შემსყიდველი მიმწოდებელს ელექტრონული ფოსტის ან სატელეფონო შეტყობინების სახით უზავინს მოთხოვნას (პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს 24 საათის განმავლობაში ჩართული ორი მობილური ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი) ღონისძიების ჩატარების ადგილის, ვადის და გასაწევი მომსახურების შესახებ. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 1 საათის განმავლობაში დაუდასტუროს შემსყიდველს მზადყოფნა მომსახურების გაწევის შესახებ.

2.2.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია დამკვეთის მოთხოვნისამებრ.

2.3 შესყიდვის ობიექტის ნიმუში:

2.3.1 ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი ვალდებულია აღნიშნულ ტენდერზე წინადადების მიღების დასრულების შემდეგ არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ნიმუშის წარმოდგენა თითოეულ პოზიციასზე. ხოლო ყოველი მომდევნო დაბალფასიანი პრეტენდენტი (არსებობის შემთხვევაში) ვალდებულია შესყიდვის ობიექტის ნიმუში წარმოადგინოს წინა პრეტენდენტისთვის დისკვალიფიკაციის სტატუსის მინიჭებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში. წარმოდგენილი ნიმუში სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურ მოთხოვნებს.

2.3.2 პრეტენდენტმა ნიმუში უნდა წარმოადგინოს შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი ქ. შარტავას ქ. N7.

2.3.3 პრეტენდენტის მიერ წარდგენილი შესყიდვის ობიექტის ნიმუში დაზუსტებას არ ექვემდებარება. პრეტენდენტს შესყიდვის ობიექტის ნიმუში დაუბრუნდება ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, ამ უკანასკნელის მოთხოვნისთანავე.

2.4 ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადასტურება:

2.4.1 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის ან/და აუდიტის დასკვნით (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამგები პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი). შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით ან ანგარიშგაქტურით (ინვოისით), რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-11-მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

2.5 წინასწარი ანგარიშსწორება:

2.5.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, 2017 წლის ბიუჯეტის სახსრებით.

2.5.2 საბიუჯეტო წლის ბოლოს შესასყიდი საქონლის ღირებულება (შესასყიდი საქონლის ღირებულების 100%-ის ოდენობით) ანაზღაურდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარი ანგარიშსწორების, ავანსის საბანკო გარანტიის საფუძველზე,

საავანსო თანხის იდენტური ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ. საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების დასრულების ვადას. მიმწოდებელმა ავანსის თანხები უნდა გამოიყენოს მხოლოდ ამ შესყიდვებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად

2.5.3 უპირობო, გამოუთხოვადი საავანსო საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

2.6 პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

2.6.1 ფასების ცხრილი დანართი №1–ის მიხედვით, წარმოშობის ქვეყნისა და მწარმოებელი კომპანიის მითითებით **(ფასების ცხრილის წარმოდგენლობა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას).**

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 070204/20/

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი

2017 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ---- სახით და მეორეს მხრივ, „-----“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი --- სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - **სიგელების, სერტიფიკატებისა და დიპლომების სახელმწიფო შესყიდვა.**

2.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (აუქციონის გარეშე). განცხადების ნომერი #

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ----- ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.4 კლასიფიკატორის კოდი: **22820000 - ფორმები.**

2.5 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან ----- -მდე/ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, დაკვეთის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში, ცხრილი №1-ში განსაზღვრული ჯერადობებისა და რაოდენობების შესაბამისად.

3.2 ყოველი კონკრეტული დავალებისათვის შემსყიდველი მიმწოდებელს ელექტრონული ფოსტის ან სატელეფონო შეტყობინების სახით უგზავნის მოთხოვნას ღონისძიების ჩატარების ადგილის, ვადის და გასაწევი მომსახურების შესახებ. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 1 საათის განმავლობაში დაუდასტუროს შემსყიდველს მზადყოფნა მომსახურების გაწევის შესახებ.

3.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია დამკვეთის მოთხოვნისამებრ.

3.4 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.

5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან ეტაპობრივად განახორციელებენ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ქალაქგაფორმებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები.**

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.4 პუნქტში მითითებული პირები).

6.2 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 2017 წლის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

7.3 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის ანაზღაურებამდე, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე ჯარიმის გადახდის შემდეგ.

7.4 საბიუჯეტო წლის ბოლოს შესასყიდი საქონლის ღირებულება (შესასყიდი საქონლის ღირებულების 100%-ის ოდენობით) ანაზღაურდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარი ანგარიშსწორების, ავანსის საბანკო გარანტიის საფუძველზე, საავანსო თანხის იდენტური ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ. საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების დასრულების ვადას. მიმწოდებელმა ავანსის თანხები უნდა გამოიყენოს მხოლოდ ამ შესყიდვებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად

7.5 უპირობო, გამოუთხოვადი საავანსო საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა **(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)**

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

8.6 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0.5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;

ბ) თუ კონკრეტული დავალებასთან დაკავშირებით შემსყიდველის მიერ ელექტრონულ ფოსტაზე ან მობილურ ტელეფონის ნომერზე განხორციელებულ შეტყობინებას მიმწოდებელი არ დაადასტურებს 1 საათის განმავლობაში;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

9.6 ამ მუხლის 9.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.

10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისათვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე, მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

12.2 მიმწოდებელს არა აქვს უფლება მხარეთა (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი) წერილობითი შეთანხმების გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12.3 უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

13. ღირებულება

13.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

13.2 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.

13.3 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

13.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა (გარდა დაკვეთისა, რომელშიც მითითებული იქნება შესყიდვის ობიექტის სახეობის, მიწოდების ვადისა და მიწოდების ადგილის შესახებ ინფორმაცია) ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით, სადაც გაგზავნილი შეტყობინება/დაკვეთა ჩაითვლება ოფიციალურ დაკვეთად. შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. ამასთან, ტელეფონით დაკვეთის შემთხვევაში მიმწოდებელს 24 საათის განმავლობაში ჩართული უნდა ჰქონდეს 14.2 პუნქტში მითითებული მობილური და ქალაქის ტელეფონის ნომრები.

14.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი ----- (ორი მობილური ტელეფონის და ერთი ქალაქის ტელეფონის ნომერი); საკონტ. პირი ბ/ქ-ნი -----, ელექტრონული ფოსტა: -----; ფაქსი (არსებობის შემთხვევაში): -----.

ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი -----; საკონტ. პირი პირი ბ/ქ-ნი -----, ელექტრონული ფოსტა: -----.

14.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

14.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

15.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

15.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერა მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16.4 „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომრებაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

16.5 „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარსს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

17. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება -----

N	დასახელება (წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი კომპანია)	პარამეტრები და ტექნიკური მახასიათებელი (სატენდერო დოკუმენტაციის 2.1 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად)	განზ.	რაოდ.	ჯერადობები	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	სიგელი, სერტიფიკატი ან დიპლომი		ცალი	4 000	ერთჯერადად არანაკლებ 5 ცალი და არაუმეტეს 1000 ცალი		
2	სიგელი, დიპლომი ან სერტიფიკატი ჩარჩოში ჩასმული მინით დაფარული		ცალი	50	ერთჯერადად არანაკლებ 5 ცალი		
3	სიგელი, დიპლომი ან სერტიფიკატი ჩარჩოში ჩასმული მინით დაფარული		ცალი	20	ერთჯერადად არანაკლებ 5 ცალი		
							სულ ჯამი:

შენიშვნა: სატენდერო წინადადების ფასში პრეტენდენტმა საქონლის ღირებულებაში უნდა გაითვალისწინოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი (ტრანსპორტირება და სხვა) და გადასახადი.

24 საათის განმავლობაში ჩართული მობილური ტელეფონის ნომერი:

N _____;

N _____;

ელექტრონული ფოსტის მისამართი:

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ ბ.ა